ლი თავის ოჯახში და ობოლი სკულპტობს გადაუხადოს სამა-
ვირო. მუშაობს დილიდან სიღამომდის დაუსკენებლივ: ზამ-
თარში ჰქერავს, ზაფხულში მინდვრად მუშაობს, გაზაფხულო-
ბით—კი ჰქრებს ყვავილებს ტყეში და მინდვრად და ჰყილის
ქლაქის ქრებში. ახლა ოჯახს დიდი უბელურება დაატყდა
თავს: მშრომელი მამა ავად გახდა და ოჯახი განიცდის სიმ-
შილს და გაჭირვებას. გაიშალეთ უფრო და უფრო კეკლუ-
კად, რომ ბავშვი აქედან წავიდეს თქვენით ავსებული კოლა-
თით.“ აი, ხედავ! განა ეს ბედნიერება არ არის—მიყეთ სა-
შვალება მაძღარნი იყვნენ? ჩვენ დავიღუპებით, სამაგიეროდ-
როვორ გაუხარდებათ, როდესაც პატარა ქალი მიიტანს შინ
საჭმელს? ჩუმად... ავერ... გაშმარიჩა წკეპლამ გაიხმაურა...
ეს ჩვენი მომკრეფი პატარა ქალიკი.“

და უფრო მეტად გაბრწყინდნენ, უფრო მშვენიფრად
გაშალეს ნაზი ფოთლები ყვავილებმა. ბედნიერებისაგან თრთო-
და მოელი ველი—სიამით აევსო. პოეტს გული.— კიაყოფილი
წევიდა ის ცისფერ ველიდან.

სიღამოთი—კი შინ დასწერა იასავით ნაზი ლექსი იმაზე,
რაც ნახა და გაიგონა ცისფერს ველზე.

ალ. გველესიანი.





საშინელი უმთხვევა.

(თავისუფალი თარგმანი ფრანგულიდან).

1 რო დღეს მე კალაბრიაში *) ვმოგზაურობდი. ეს ქვეყანა ბოროტ იდამიანებით არის დასიხლებული, რომელთაც, ჩემის აზრით, სუსკელა ეჯავრება — განსაკუთრებით ფრანგები **).

რომ მეითხოოთ, თუ რატომ, ამის აღსნას ბევრი დრო დასკირდება; საქმითა გითხრათ, რომ ჩვენ მათ ჭირიერი ვეჯავრებით, და არა-სისიმოვნო მდგომარეობას განვიცდით, როცა ხელში ჩაუდარდებით.

ჩემთან ერთად ერთი ახალგაზდა კაცი მოგზაურობდა. იმ მოებში, საცა ჩვენ ვმოგზაურობდით, გზები საშინლად დახლართული იყო. ჩემი ცხრენები ძლივს დადიოდნენ. ჩემი ამხანაგი წინ მიმიძლოდა. იმ ბილიკმა, რომელიც მან აარჩია მოგზაურობისთვის, სრულიად დაგვიძნია გზა და კვალი. თუ-

*) კალაბრია — პროვინციაა სამხრეთ იტალიაში; მთიანი ადგილია, და ხშირად ხდება იქ მიწის მფრა. ამავე ტროს ეს ქვეყანა განთქმულია თავის კაჩალებით.

**) რადგანაც ამის დროს ფრანგებმა აჯობეს მათ.



მცა ამაში შეც მიდევს ცოტა ბრილი. როგორ უნდა ენდენდა გართა
კაცი ოცი წლის ბავშეს?

სანამ დაბინდებოდა, ჩვენ ტყიდან გასისვლელ გზას ვე-
ძებდით; მაგრამ, რაც უფრო ვეძებდით, მით უფრო ვეძენეთ-
და გზა.

საშინელი ბნელი ღამე იყო. ბოლოს ერთ ზე სახლს
მივაღებით. შიშით და კანკალით მიუახლოვდით ამ სახლს,
მაგრამ რა უნდა გვექნა: შეტი საშეელი არა გვქონდა რა.

მენაბშირეს მთელი ოჯახი მავიდის გარშემო დამსხდარი-
ყო. ჩვენც მიგვიპატიერეს. დავიწყეთ ვახშმობა. მე თითქმის,
არა მიქამია-რა, რადგანაც სულ ჩვენ მასპინძლებს ვათვალიე-
რებდით. სახეები მართლაც და ნამდვილი მენაბშირები-
სა ჰქონდათ, მაგრამ მათი სახლი უფრო იარაღის საწყობს
ჰგავდა, რადგანაც მთელ ოჯახში, გარდა თოფებისა, დამბაწე-
ბისა, ხმლებისა და დანებისა—არა იყო რა.

უცელა ეს არამც თუ არ ზომწონდა, არამედ შიშაც
მგვრიდა. ჩემი ამხანავი-კი არხერინად ლაპარაკობდა და მხია-
რულობდა; მან სრულებით დაუფიქრებდლად უამბო მათ, სი-
დან მოვდიოდით; ისიც-კი დაუმატა. რომ ჩვენ ფრანგები ვი-
ყიყით.

წარმოიღინეთ შეურიგებელ მტრებთან მარტო ყოფნა,
სრულებით უმწეოდ. შემდეგ მდიდრათაც გაცნო თავისი თა-
ვი: დაპირდა—ჩეენზე დახარჯული ერთი ორივე ვადეგხადა,
და კიდევ ზედ შეტი საჩუქარი იმის, ვინც ცოტათი ვაგვაცი-
ლებდა. შემდეგ მასპინძლებს სოხოვა ფრთხილიად მოჭქცეოდ-
ნენ მის ხელის ყუთს და ბალიშის ქვეშ დაედოთ მისთვის.

ოჲ, რამდენი გულუბრყილობაა სიყმაწყილეში.

ვახშმის შემდეგ ჩვენ მარტონი დაგვტოვეს. ჩვენ მიერ
ახლად ვაცნობილი ოჯახი ქვეფით ჩაეციდა დასაძინებლად,
ჩვენ-კი იქ უნდა დაგვეძინა, სიცა ვიცაშშეთ.

ლოგინები ისეთ მიღალ ტახტზე იყო გაშლილი, რომ
იქ ასასვლელად კიბე იყო მიღვმული. იქვე, ლოგინებს ახლო,

თახჩებში შენაბული იყო მთელი წლისთვის სხვა-და-სხვა სა-
ნოვავე. ჩემი ამხანდი ჩატა ხელად ლოგინში, და მაშინვე
დაეძინა თავისი ძეირფასი ყუთით თავქვეშ. რომელშიაც
მხოლოდ მისთვის ძეირფასი წერილები ეწყო. მე ჯერ ცოტა
ცეცხლს მოუარე, შემდეგ დაეწეჭი. ღამემ მშეიდობიად
გაიარა. ცოტათი უკვე დაემშეიდლი. უეცრად მომესმა
დაბლი სართულიდან ხმები ჩვენი მისპინძლისა და მისი შეუ-
ლლისა. სმენად გადვიქეცი.

მომესმა საშინელი სიტყვები: „მაშ ორივე უნდა და-
ვკლა?“

ცოლმა უპასუხა: „აბა ერთი რა საკმირისია?“ ამის შეტე
ველარა გაფიგონე რა.

როგორ უნდა გადმოგცეთ ახლა ის, რასაც შაშინ
ვერძნობდი. ძლიერ ვსუნთქავდი. მთელი ჩემი სხეული ციფი
იყო მარმარილოსავით. ვისმეს რომ შეეხედა მაშინ ჩემთვის,
სწორედ რომ შევდარი ვეგონებოდი.

ღმერთო, როცა მომაგონდება ხოლმე... ჩვენ ორნი—
უიარაღოდ, ისინი კი—თორმეტი შეიარაღებული კაცი. ამას-
თანავე ჩემი მეგობარი—საშინლად დალლილი და მინარა.

ვერ გვიძედე გამელვიძებინა და ცეირილი დამეწუო. არ
შემეძლო მარტო გავტცულიყვავი.—ფანჯარა თუმცა დაბალი
იყო. მაგრამ ქვევით, სწორედ ფანჯარისთან, ორი უშველე-
ბელი ძალლი იყო დამშული. აბა წარმოიდგინეთ, რა მდგო-
მარეობაში უნდა ვყოფილიყო. თხუთმეტი წუთის შემდეგ
ვიღაცის უქისი ხმა მომესმა კიბეზე; კარების ჭუჭრუტანიდან
დავინახე მისპინძლი თვისი ჭრაქით ერთ ხელში და უშ-
ველებელი დანით მეორეში. ჯერ ის შემოვიდა ოთხში, შე-
მდეგ მისი შეულლე. შემოსვლის მან ჭრაქი ცოლს გადასცა;
ოთოთხ ფეხსაცმელი გოხადა და ნელი ნაბიჯით გამოსწია
ჩვენსკენ. ცოლი ხელს აფარებდა ჭრაქს, რომ ოთხი ძალიან
არ განათებულიყო, და ჩუმად ეუბნებოდა: „ნელა, ნელა წადი!“

როცა კიბესთან მიერდა, თავისი დანა კბილებით დაიკირა, შიუ-ახლოვდა იმ ლოგინს, საკა ახლგაზღა კაცი ჟელ-გადალელი-ლი იწვა; ერთ ხელში აიღო დანა, და მეორე... ოჯ, რომ იცოდეთ... მოქადა ხელი ლორს, რომელიც კერზე ეყიდა, მოსჭრა ერთი დიდი ნაკერი და გავიდა ისევ ნელა, როგორც შემოვიდა.

კარები მოხურეს, კრაქი ჩააქრეს, და დავრჩი მე მარტო ჩემ საშინელ ფიქრებით.

გათენდა თუ არა, მოვლი ოჯახი მოვიდა ჩვენ გასაღვი-ძებლად. მოგვიტანეს სუფთად და გემრიელიდ მომზადებული ხაუზშე. ქითამიც იყო მავიდაზე; ერთი ხაუზშე გიახელით, მეორე-კი შეახვიეს ჩვენთვის საგზაოდ წასაღებად.

როცა ეს ორი ქათამი დავინახე, მაშინ მიეხედი თუ რას-ნიშნავდა ის საშინელი სიტყვები: „ორივე უნდა დაუკლა?“

ბაბო ბერელაშვილი.





მონოლითი.

(მოსხრობა ფონ-როდენისა).

I

მორომი დედაკაცი.



მორგობისთვის ცივი დ' მოწყენილი დღე იყო.
შემოდგომის ქარს ზუზუნი გაძჰონდა. რას არ
სხიადონდა ეს მოუსვენარი: მოსიარულეს ხე-
ლიდან ქოლგისა ჰგლეჯდა, ჭუდს სტაცებდა და
თავ-მოტიტვლებულ პატრონს უკან გამოუ-
ყენებდა. ავერ მოედანზე ვაშლებით მოვაკრე
ქალს კარიგში შევუარდა, ერთი ღონისურიდ დაუბრა და ტი-
ლოს სახურიდი კარიგს გადააგლოჯა. საბრალო დედაკაცი გა-
ექანა სახურიდის დასაქერიდ; სიჩქარით ვაშლებით სავსე კა-
ლათს უეხი წამოჰქრა; კალათი გადაპირქვავდა და გასაყიდი
ვაშლი სულ ერთიანიდ დაიპნა. შორი-ახლო მდგომი ბავშვო-
ბა მოედვა მოედანს და ფაც-ფუტით დაუწყეს კრეფა ქარი-
სხვან მორთმეულ საჩუქარს. ყველას უნდოდა მეტი შეხვე-
ღორდა, რის გამო ჩხუბობლენ, ერთმანეთს უჯიქავებდნენ,
ეცემოდნენ, ყირაბალა გადადიოდნენ.

შებულკემ, რომელიც ამ ტრის საკუთარი სახლის ფან-
ჯარისთან იჯდა და თამბაქოთი სავსე ჩიბუქს აბოლებდა, დაი-
ნახა ყველაფერი ეს და გულიანიდ გადიხარხარა.

— რა გაცინებს? რა მოხდა? — ჰეთი მებულკე, ცოლშა
და მეორე ოთახიდან ქმართან გამოვიდა.

ქმარმა მოეღნისაკენ ჩიტუნი გარშეირთ და ცოლს წმო-
პირქვავებული კალათი დაანიხევა:

— გაიხედე, განა არ გაეცინება კაცს?

— შეტი არაფერი? — ბუზლუნით ჩიღიაპირია დედაკაცმა.

— ეს რა სისაცილოა? ნეტავი ჩქარა გათავდეს მეცადი-
ნეობა: გამეყინება ბავშვები. ამისთანა აედარში პატრონი ძა-
ლოსაც არ გაავდებს გარედ.

ამ ლაპარაკში დედაკაცმა თოლ სამი წუცილი ბავშვის
ფეხსაცმელი და დაწყო ღუმელის იხლო, შედგა გახურებულ
ღუმელზე ყავადანი და ისევ მეორე ოთახში გვიდი. აქ ის
მიუჯდა თვის საყვარელ ფანჯარას და ეზოში ცქერა დაიწყო.

— ნე გემინია! თოვლი და ქარი სახარგებლოც კია
ბავშვისთვის, — ისევ გამოეხმაურა მებულკე ცოლს. — ისეთიცი
გადამხდომია თვის ჩემ სიყმაწვილეში? არავინ ზრუნავდა ჩემ-
ზე. წიმომაგდებლნენ დილის ხუთ საათზე, ამჟიდებლნენ ბულ-
კებით სიცეს კალათს და დავდიოდი სახლიდან სახლში, ჭური-
დან ქუჩაში. და ისე ყოველ დღე, მთელი წლის განმავლო-
ბაში. რატომ არ ეხდებოდი ივალ? პირიქით — მიხდებოდა კი-
დეც: ისე ვერძნობდი თვის, როგორც თევზი წყალში.

— რა უყოთ მერე? გაშინ სულ სხვა დრო იყო. ჩენია
ბავშვები შენზე სათუთნი არიან. მე ვერც-კი წარმომიდგენია,
რომ ჩემი კარგი ბრუნო დილის ხუთ საათზე ადგეს და ყინვაში,
გავიდეს. ეს საშინელება იქნებოდა, საშინელება!

— არაფერი საშინელებაც არ იქნებოდა! თუ მამამ არ-
ტანა, შვილიც შესძლებს ატანას. ნაალდგომევიდან დაწყებუ-
ლი ბრუნო ცოტ-ცოტაობით უნდა შევაჩვიო საქმეს; ნამდვი-
ლი მებულკე უნდა გამოვიყვანო, ნამდვილი

იმ სიტყვების გავონებაზე ცოლი ქართალივით გიაწითლ-
და, წიმოიქრა სკამიდან და მრისხანედ უთხრა ქმარს:

— ძალიან აქტივურებულხარ. შეონი ჩემი თანხმობა კუთხით
რომ თავის დღეში არ მოგცემ ნებას, რომ ბრუნო შებულ-
კელ გაზიარდო.

ქმარი მშევიდად ისმენდა გაწილშატებულ ცოლის სიტ-
ცუებს: შეეჩინა მის ხასიათს; იჯდა წყნარად და აბოლებდა
ჩიპუს, რაც კიდევ უფრო აპრაზებდა მოღმინება-დაკარგულ
კოლს.

— მამა-ჯი ორა — ნამდევილი მხეცი ხარ, მხეცი! მე რომ
არ გუავდე, შეიღები სულ დაგელუპებოდა აქამდე. სანამ უო-
ცხალი ვარ — ბრუნო მებულეკ არ ვახდება. ის ვაჭარი უნდა
გამოვიდეს; ეს დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქს და სეც იქ-
ნება. შენა გვინია...

— ვილაც უანჯარის ეკაკუნებს; გაიხედე, გეოუკა! —
ისევ წყნარიად და თავდაპირილად მიმართა კოლის შებოლო ფრ.

კოლი უკმაყოფილოდ წამოდგა და ფანჯრა გამოაღო; ბრაზობდა, რომ ლაპარაკი გააწყვეტინეს. ფანჯრისთან იდგა პატირა ტანის, საცოდავი შესახედაობის კაცი: ეს იყო მებულკის სახლში მობინადრე მოხუცი მემუსიკე, რომელიც ბულკის საყიდლად მოხულიყო. საბრილო მოხუცი სიცივისაგან ძიგმავებდა. როცა ბულკისთვის ხელი გამოიწოდა, ისეთი ხეელა იცვარდა, რომ კედელს არ მიყრუნობოდა, წარჩეოდა.

შებულების ცოდნი ისე გულგრილად უცქეროდა, ამ იდა-
მიანის ტანჯვას, გეგონებოდათ—ვერც-კი ხედავსო. ხუთი წე-
ლიწადი რაც შემუსიკე ამ სახლში ცხოვრობს და დიასა-
ხლისი შეეჩერი მისი სხის საკოდავ გამომეტყველებას. მიგრამ
დღეს ავადმყოფი ძლიერ ცუდად გამოიყურებოდა; კველა შე-
ოტყობდა, რომ დიდი ხნის სიკოცხლე აღიარ ეწერა. დედა-
კიცმა გადაუწყო ბულები, ფანჯარა სახქაროდ გამოიხურა
და ისევ დაჯდა. ეშინოდა—ოთახი არ გაციიბულიყო. ვი-
გონა თუ არა ხელა, მებულებე გამოვიდა გარედ, მივიდა
ავადმყოფთან, მხარზე ხელი დააჭო და თანაგრძნობით უთ-
ხრა:

— შემოდით ოთახში, გათბით. ამისთანა სიცივეშია პრეზიდენტი გამოხვიდეთ: მსუბუქად გაცვით და ვერც ჯანმრთელობით დაიტრაბიხებთ.

შემუსიკე უსიტყვოდ დაემორჩილა სახლის პატრონს და შეჰვება ოთახში. სტუმარი ვერაფრად მოეწონა დიასახლისს. მას რა ენალვება, რომ ვიღაც შემუსიკე სიცივით კედება? მას ზომ არავისთვის დაუშავებია რა? ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე და შვილებზე, განსაკუთრებით — კი მისი ფიქტები თავს დასტრიალებს უფროს ვადს ბრუნოს, რომელსაც ანგებივრებს, რამდენადაც — კი შეუძლია. ყველა ღარიბს „მოხოვარა“-ს ეძახის. დღეს რომ ერთს ვაჩუქო, ხვალ ათი მოირბენს“-ო, — ხშირად იტყოდა ხოლმე.

ღონებ-მიხდილი ივალმყოფი სკამზე ჩამოჯდა. დიასახლისს ახრადაც არ მოსცლია ამ უწმეო იდამიანის მდგომარეობა როთიდე შეემსუბუქებინა. მისი ყურადღება სულ სხვაზე იყო მიკეცული: სწუხდა, რომ სტუმარი სკელი ფეხსაცმელებით შემოყიდა ოთახში და სუფთა იატაკი გააჭუქანა.

— მეორეჯერ არ დაგვემართოს! — დაუყირა ქალმა მემუსიკეს: — როცა იქ შემოდიხარ, ფეხები კარგად უნდა გირწმინდო.

— მიირთვით ერთი კიქა ღვინო, — მეგობრულიდ უთხრა მასპინძელმა ივალმყოფს: — გამნევდებით!

— ნუ თუ მართლა ღუბნება? — გაითვიქრა ცოლმა: — ეპატიუება იმ ღვინოზე, რომელიც ბრუნოსათვის მაქვს შენახული: ამ ძეირფას ღვინოს მხოლოდ მაშინ ვასმევ ხოლმე ბავშვს, როცა ბევრი გაკვეთილები აქვს ტა ილლება. ის სწორედ ამ ღვინით უმასპერნძლდება ვიღაც მოხოვარა — მემუსიკეს.

— ეს ღვინო ბრუნოსია, — ხმიმალლა წარმოსთქვა ბორიტმა დედაკაცმა; — სწორედ დაბადების დღეს მიყულოცი მას.

ამ სიტყვებით ქალი მიერდა ქმართან და შეეცადა ბორიტი ხელიდან გამოეგლიჯა.

— ეს შეც კარგად ვიცი,—მიუგო ცოლის მფრიდავებულებული შენა გვონია, რაკი ღვინო ბრუნოსია, ავადმყოფ იდამიანს აწყენს? შემდევ ის მიუბრუნდა სტუმარს და უთხრა: რაც დაგრჩეთ—თან წაილეთ და სახლში დალიეთ. როცა იმ ბოთლის ვამოსკლით, კიდევ მოიკითხეთ!

ვასპინძელმა ძალად ჩაუდევა ბოთლი ხელში ავადმყოფს, რომელიც შიშით ზესცქეროდა გააფირებულ დიასახლისს. მებულებე გავიდა მეორე ოთახში, გაავსო ქალალდის პარკი ბულებრივით, ზედ ჭიშმიშიანი წვრილი ბულები დააწყო და ავადმყოფს გადასცა.

ქარი არავითარ უურადლებას არ აქცევდა ცოლს, რომელიც გაბრაზებული თვალებით ზესცქეროდა მის მოქმედებას.

— ეს წვრილი ბულები თქვენ პატარა ქალს მიუტანეთ: ისიც ავადმყოფი ბავშვია.

— საკურაველიც არაა,—ჩიერია ლაპარაკში ცოლი:— მუსიკისაგან ვისუქებული ეინ გინახავთ? დილიდან დაწყებული სალამომდის მოსვენებას არ აძლევენ აღმიანს. იცით, რომ თქვენ ზეცით მცხოვრები მეწალე სწინის თქვენზე? საათალწლოდ ოთახს დასკლის, თუ თქვენ მუსიკას ბოლო არ მოელო. ამის ნებას-კი არ მოგცემთ. მეწალე კარგი მდგმურია: ფულს ყოველთვის დროზე იძლევა; არა ჰავას სხვებს.

— ცოტა მოითმინეთ, ქალბატონო! — შეეველრა მემუსიკე:— ჩქარა მოგართმევთ. თუ ცოტა მოვიკეთ, ვიმუშავებ და გაგისწორდებით. მომავალ კვირიდან ორკესტრში მიმიღებენ. დირექტორმა შანეთ-ნახევარი კიდევ მომცა წინდაწინ.— ჩაიყო ჯიბეში ხელი და ფული ამოილო.

— ტყუილი თავის მართლებაა,— ჭისედ მიუგო დიასახლისმა.

— არა, არა, მართალია! მხოლოდ ღვისის გულისათვის ბინიდან არ დამითხოვთ. რაკი მეწალე ჯავრობს, ვეტყვი

ჩემ ქალს — იღარ დაუკრას... ჩემი პატარა ქალი... ჩემი შინაგანია თნა... არა... — ავალმყოფს ხმა აუკან კალდა, ცრემლებში დასძლია. — ძალიან ეწყინება ჩემ მინიონას: — სკრიპტე ერთი დეკონი ნუგე მია მისთვის.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, გეოზყვა! ჩემ მეუღლეს სულ სხვა უნდა ეთქვა. ბინიდან გაგდებაზე ლიპარი კიუკი მეტია. წადით სახლში, მოისვენეთ: ღმერთი მოწყვალეა.

მებუღლემ მიაკილა სტუმარი კარებამდე. მემუსიკე მობრუნდა და მადლიერად გაღმოხედა გულ-უხვ მასპინძელს. შემთლგომის ქარი ისევ ისე ზუშუნებდა. ბოროტმა დიასახლისში ბოროტის თვალით გააცილა ღარისხი სტუმარი. სხვაზე რომ ვერ ამოყიარა ჯავრი, კატის წაჲკრა ფეხი და კედელს კინალამ მიაკლა. საბრალო ციცუნიამ ერთი-კი შეჲკიცლა და გაბუტულა წავიდა კუთხისაკენ.

II

მემუსიკე და იმისი ქალი.

ნელის ნაბიჯით აღიოდა მემუსიკე თავისი ბინის კიბეზე-რომ არ წაქცეულიყო, რამდენჯერმე დაისვენა. გული საშინ-ლად უცემდა, გვერდში იუტანელ ტეივილებს გრძნობდა. მაგრამ, მოესმა თუ არა სკრიპტის ხმა, ტეივილები სრულიად დაავიწყდა; შექერდა და უური დაუგდო.

— რა კარგიდ უკრიეს! რამდენი ტანჯვა დ სულიერი წვალებაა გამოხატული ამ ხმებში! აა, ჩემო ძეირფასო მინიონა! დიდებული დამკარელი გამოხვილ, დიდებული! — წაიჩურჩულა მამამ და მკრთალი ლოყებ) შეუწითლდა; თვალებში სიხარული და იმედი გამოხხატა.

მან წყნარიდ შეაღო კარები. მინიონა იღვა სკრიპტით ხელში და უკრავდა. ამ სურათის დანახვაზე მამის გულმა კი-

Digitized by srujanika@gmail.com

დევ შეტი მღელებარება იგრძნო. მართლაც რომ ამისღელვაცებული სურათი იყო. წარმოიდგინეთ შეკიდულება წლის, სათუთა, ვამხდარი ბავშვი, ზავ, ხუჭუჭა თმით და დიდობრინი შევი თვალებით, რომლებიც არა გვანან ბავშვის ჩვეულებრივ, ცოტადა და ციალა თვალებს; სანთელიკით გაყენოთლებული სახე, ნალვლიანი შემოხედვა — აյ ანაირი შესხედობის იყო პატარა მინიონა.

მაგრამ უნდა ვავიცენოთ იმისი ტანისამოსიც. გეგონებოდათ ბავშვი ახლა ამდგორი ლოგინიდან და ტანთხაცა ვერ ჰოუსტონია. წელს ზემოთ ემოსა მოკლე ქვედატანი. შეჩებზე წამოსხმული ჰქონდა ფონებიანი შალი, უკან შირყუშიდ ვამონისკული, რათა დაკვრის დროს ხელები თავისუფლად ემოძრავებინა. გრძელი, შეი წინდები ჩამოაჩინდა. ერთი მათვანი ვამოგლეჯილიყო და ტიტველა ჭიხლი უჩანდა. ასუ ფოსტლები იყო მინიონის ფეხის. ჩულქებიცა და ფოსტლებიც ცხონებულმა დედამ დაუტოვა. ოთახი ხომ სულ აფორიაქებული იყო: ლოგინი დაულაგებელი, ტანისამოსი სკამებზე უთავბოლოდ დაცურილი, სასადილო მაგიდაზე უთანასწოროდ გადაფარებული ჭუჭყიანი სუფრა, ძველ ფორტეპიანოზე გამტვრიანებული ნოტები, ჭუჭყიანი იატაკი, — ას, როგორი იყო ოთახი, რომელშიაც ცხოვრიბლენენ შემუსიკე და იმისი პატარა ქლი მინიონი.

სულ სხვა იყო წინად. მხოარული და მიმზიდველი იყო
ეს ოთახი. მაგრამ აეტა თრი წელი შესრულდა, რაც მინიჭ-
ნას დედა გადაიცვალა, და მის შემდეგ კველაფერი უკუღმა
დატრიალდა. მამი დაავადმყოფდა; შემოსავალი შემცირდა.
რაკი მოსამსახურისათვის ფული არ გაიჩნდათ, თვითონ უნდა
ეკისრნათ საოჯახო მუშაობა. მაგრამ სკრიპტ უფრო ანტე-
რესებდა მამა-შვილს, კიდრე ოჯახში ფუსტუსი. მამი გატაცე-
ბით ასწავლიდა პატარა მინიონას, რომელიც განსაციიფრებე-
ლი სისწრიაფით ითვისებდა ნაწილებს, თუმცა მისი ხნის ბავშვის

ტიკინებით გართობა უფრო შეეფერებოდა, ვინემ მემუსტლაკოთავა კობა.

— ძალიან კარგად უკრავ, შეიღო, ძალიან! — გააწყვეტინა მამამ მინიონას მეცადინეობა და ტახტის კიდეზე ჩამოჯდა.

— ამ, მამიღო, შენა ხარ? — მხიარულად შესძიხა მინიონამ. ბავშვი ისე იყო გატაცებული მუსიკით, რომ მამის შემსელაც-ე-კი ვერ შეამჩნია. — მაშ გესმოდა, მამა, ჩემი სკრიპტის ხსა? თანდათან უფრო კარგად უკრავ, არა?

თანხმობის ნიშნად მამამ თავი დაიქნია, მოეხერი ბავშვის და დალონდა: მოაგონდა, რომ ჩემა სულ აუკრძალვენ მინიონას სკრიპტაზე ვარჯიშობას.

— ამა ნახე, შეიღო, რა მოგიტანე? — უთხრა მემუსიკემ და შეიღოს ქალალდის პარკი ვადასკა.

— ამ, რა მშევნიერი ბულებია, მამი; ქიშიშიც ბევრია ღმერთო ჩემო, რა გემრიელი იქნება. ნახევარი შენი იყოს, მამიღო! ახლა-ე-კი ყავა მოვხარშოთ; ძალიანა მშია.

ბავშვის ალტაცება და მხიარული ელურტული ანუგეშებდა მამის — ის სიყვარულით უცქეროდა თავის ერთად-ერთ ნუგეშს. უნდოდა ყავის მომზადებაში მიშველებოდა, მაგრამ ისე დასუსტებულიყო, რომ ადგომაც ველარ შესძლო.

დღეს მარტო უნდა იდიასიხლისო, შეიღო! ძალიან დალლილი ვარ.

— საწყალი მამიღო, — მოუბრუნდა მინიონა მამას და გამხდარ სხეხზე ხელები მოუცაცუნა. — იჯექი, ჩემო კარგო, იჯექი; დარსვენე; მე შოგხარში ყავის: დაიცადე: — როცა გაეგიზრდები, ბევრ ფულებს ვიშვევი, დიდ სხელში დავდგებით... ოქროს ეტლით ვისეირნებთ... ყოველ დღე რჩეული საჭმელი გვექნება... არა, მამიღო? რა კარგი იქნება ის დრო!..

მინიონამ ფოსტლების ფრატუნით შეირბინა მეორე თახში და გამოიტანა წყლით საცხვე, კურკელი, მაგრამ მხოლოდ ახლა მოსვონდა, რომ ლუმელი გაუზურებელი იყო.



— ვამე, მამა, ცეცხლი ჩამჭრალა; რაღა ვქათ? მამა ტახტზე წამოწოლილიყო და თვალები დაეჭუპა. ასე სუსტად პირველიდ გრძნობდა თავს. მინიონას სიტყვებზე სკადა წამოდგომა და ველარ შესძლო.

— რაღაც ცუდათა ვარ, შეილო... მოიტა, ღვინო და-მალევინე... ინ, იქ არის... სახლის პატრონმა მომცა... კიქა მოიტა...

მინიონამ მიაწოდა შამას ღვინო. ავადმყოფს ისე უკან-კალდა ხელი, რომ კიქა ველარ დაიჭირა. ბავშვი შეშინებუ-ლი უჟურებდა მამის. —

— მამილო, რა მოგივიდა? ისე ხარ გაფითრებული, რო-მორც დედა სიკვდილის დროს. კი არ მოკვდე, მამილო!?

შეშინებული მინიონა მოექრა მამას. ავადმყოფმა მოი-კრიბა უკანასკნელი მილა, რომ ბავშვი დაემშვიდებინა. ღმე-რთო ჩემო, რაღა უნდა ექნა საბრალო მინიონას? ქვეყანაზე მამის მეტი იღარავინა ჰყავდა, და იგიც ჩავდებოდა.

— დამშვიდდი, შეილო, დამშვიდდი: ნუ სტირი! — ძლივ გასაგონის ხმით ეუბნებოდა მემუსიკე ქალს; — მომაწოდე ღვი-ნო: შენის ხელით დამალევინე... ეგრე... ეგრე...

ავადმყოფმა მოსცა ღვინო, მაგრამ გაჭაყლაპვა ველარ. შესძლო.

— რა ჰქენი, მამილო: უკეთა ხარ, არა? — ეკითხებოდა შეშინებული მინიონა.

— ჰა, ახლა უკეთა ვარ, მგონი, — ამშვიდებდა მამა ბავშვს. — დაჯექი ჩემთან ახლოს, ჩემთ მვირფასო!.. ეცალე კარგი ქალი გამოხვიდე...

მინიონა მოექრა მამას და ალექსანდრიდ დაუწყო თვალებ-ში ცეკრა.

— ვაძლევ სიტყვას, რომ ყოველთვის კარგად მოვიქცე-ვი, არავის არ ვავაჯავრებ, ვიბეჯითებ და ვავახარებ კარ-გი დაკვრით.

მამამ თავი გიცქნია:

— არა... როცა დედაშენთან წავილ... ჩაშინაც უძლია უცადო კარგი ქალი იყო... ჩემს შემდეგაც ისე მოიქცეო, როგორც ჩემთან. მე და დედა ყოველთვის შენთან ვიქნებით, თუმცა შენ ვერ შეგვამჩნევ...

— არა, მამილო, შენ არ მოგშორდები, არა, ჩემო ძირაფასო! — აკან კალებული ხმით ეუბნებოდა ბავშვი სულთ-მობრძავ მაშის.

ავადმყოფს სახე გაუტითოდა.

— დაუკარი ჩემი საყვარელი პიესა, — მხოლოდ ჩქარა... ძლიერ უთხრა მემუსიკებ ქალის.

მინიონამ აიღო სკრიპტა, და დაუკრა, მაგრამ ისეთი გრძნობით, რომ ოთახი ზეციურმა ხმებმა მოიცო. შეწყდა სკრიპტის ხმა და მისთან ერთად მემუსიკეს გაფითრებულ სახეზე აღიბეჭდა სრული სიმშეცვენება.

მინიონამ ფრთხილიად გადასდო სკრიპტა, რათა მაშა არ გაეღვიძებინა და ფეხის ცერებზე მივიდა ტახტან.

გულხელ-დაურეფილი იჯდა ბავშვი და თვალს არ აშორებდა „მიძინებულ“ მაშის.


— ალბად, როცა გაიღვიძებს, კარგად იქნება, — ფრქრობდა საბრალო მინიონა.

მაგრამ დახეთ მის უბედურებას! მაშის ალარ გაშორებითა. მოშორდა ამ ქვეყნიურ ტანჯვა-ვაებას. შშიერი დაბადა და მშიერივე მოკვდა. დარჩა საბრალო მინიონა მარტოდ-მარტო ამ ქვეყნად.

8. ლ-ძე.

(შემდეგი იქნება.)





ჰერის დამორჩილება.

3ინც ჰერში ფრენის და ფრენის ხელოვნების განვითარებას თვალ-ყურს აღვენებს, არ შეუძლია არ ვაზაროს—იმდენად დიდია ოდამიანთა წარმატება ჰერის და მორჩილების საქმეში. ოდამიანი თავის ჰეროვან ცხენზე თანდა-თან სულ უფრო და უფრო ემზადება ფრინველს. ის მი-ფრინავს შორს, მაღლა, საღალ ორბნი და არწივნი ეკრ მი-ბედივენ; ასწრობს სიჩქარით მარდ ჩიტებს, ებრძეს ქარი-შხვლს და ჰერში ისეთ სიმარტეს ჩენს, რომ მტრედსაც სჯობნის. ამას უკვე უკელა შეეჩიდა, ყველამ იცის და სულ ახალ-ახალ გამოკვლევა-გამოგონებას ელის. მართლაც გაზე-თის თითქმის ყოველ ნომერს მოაქვს ცნობები აღამიანის ახ-რის და ცოდნის ახალი გამარჯვებისა ჰერის დამორჩილების, ანუ ეკიაციის საქმეში.

ჩვენ დროში უკვე ხშირად გამოდიან ისეთი აღამიანე-



ბი, რომლებმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და სიკუცხლეში მიმოიწვევა
საქმეს შესწირეს. მათ რიცხვში განსაკუთრებული აღიარე
უკირავს ფრანგ ბლერიოს, რომელმაც სხვათა შორის გაითქვა
სახლი იმით, რომ პირველად გადატრინდა სიცრანგეთიდან
ინგლისში, გადასცილდა ლაბირინტის სრუტეს. მაგრამ მისი უ-
თავრესი მნიშვნელობა მრავალ გამოგონებაში გამოიხატა,
რომლებმაც ძალიან წინ წასწიეს ფრენის საქმე. მფრინავ მან-
ქანის აშენება-მოწყობაში მან შეიტანა მრავალი გაუმჯობე-
სება, — დაუგასებელი სამსახური გაუწია მან საქმეს. მისგან აშე-
ნებული მანქანა, „ბლერიოს“ აეროპლანი — ყველაზე მოძრა-
ვი და მარტინი.

დიდი ხანი არ არის, როც გა-
მოქვეყნებულია მისი ახალი გა-
მოგონება, რომელსაც მეტად
დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ
გამოგონების სურათი აქვე მო-
ყვანილია.

ეს გამოგონება მიწაზე და-
შევბას და ჰაერში იფრინას ძა-
ლიან ააღვილებს. ფრენის და-
წყებიდანვე მთავარ სიძნელეს
სწორედ ჰაერში იფრენა და მი-
წაზე დაშვება წარმოადგენდა,
რადგანაც ამისათვის, სხვათა
შორის, მეტად ფართე და სწო-
რი ადგილი იყო ხაჭირო. ბლე-
რიოს გამოგონების საშუალე-
ბით კი, როგორც იფრენა, ისე
დანიშნულ აღიაგზე დაშვება,
სულ პაწია აღიაგზედაც ადვი-
ლად ხერხდება. საჭიროა მხოლოდ ორ მასალა ბოძს შევ გა-
მტული ფოლადის საბელი, რომელზედაც მფრინავი მანქანა.





ბლეგრიოს მიერ გამოგონილ მოწყობილობით. ჩამოცუდებული არა
რამდენი ხანიც სასურველია—იქ დაჭყოფს, მოეხსნება და ფრე-
ნის განაგრძობს.

ეს მოწყობილობა წარმოადგენს რომაული ციფრი V-ს
შეგვარ ლითონის ორთითს, ავტომატიური *) საკეტავით. ამ
„ჩამოსაკიდი“-ს ასამოძრავებლად საგანგებო მავთულია გა-
ყანილი.

საბელზე ჩამოსაკიდებლად მფრინავი თავის მანქანის მის
სისწორეზე ააფრენს, ორ თითს დაუპირდაპირებს და, როდე-
საც საბელი ორ თითში შევა, საკეტავს გამოსწევს. მოტო-
რი წერდება და მანქანა ჰაერში დაეიდებული რჩება. ისევე
აღვილად ხდება საბელიდან ჰაერში აფრენა. მფრინავი მო-
ტორს აამოძრავებს, ჩამოსაკიდის საკეტავს აღებს და განთავი-
სუფლებული მანქანა მსუბუქად მაღლა ცისაკენ ჰაერს მიაპობს.

იმავე გამბჯელავება და ნიკეირია ბლეგრიომ სულ მოკლე
ხანში გამოიგონა თავისი მანქანის საშუალებით ორა-ჩვეულე-
ბრივი ფრენა, ეგრედ წოდებული „ყრუ ნასკეო.“

თქვენ ალბად კველის გექნებათ ნახული, კირქში ან
სურათებზე, ან ყოველ შემთხვევაში გაიგონებდით, როგორ
გასამცარ აინებს იქეთებენ კირქში ველოსიპედებით. გაქა-
ნებული ველოსიპედით საგანგებოდ გაკეთებულ წრეში იქ
თავქვე ტრიალებენ და ასეთ ტრიალს სალტო-მორტალს უწი-
დებენ. იქეთებენ სალტო-მორტალს საგანგებო ვაგონეტები-
თაც. ასეთი ვაგონეტებისათვის გაკეთებულია ბურლის მზგაუ-
სად დახევეული საგანგებო გზა და ზედ რკინის ლიანდაგია და-
კრული. ლიანდაგზე ზეეგიდან დაქანებული ვაგონეტი საში-
ნელი სიჩქარით მოჰქრის და დახევეულ გზას გარშემო უფლის,
ისე რომ ვაგონეტში მჯდომი რამოდენიმე წამს თავქვე დაკი-
დებული არის.

ასეთსაც სალტო-მორტალს, მაგრამ ულიანდაგით, იქე-
თებენ მფრინავები ჰაერში. იქ ამ აინს ჰქვია „ყრუ ნასკეო.“

*) თვით-შოტჭეჭი.

პირველი „ყრუ ნასკეი“ თავის საფრენ მანქანით გამცემის პერიოდში ბლერიოს მოწაფემ პეტერ მაგრამ აქ, რახა კვირკველია, — არ იყო არავითარი ლიანდაგი და „ყრუ ნასკეი“ იყო გაეკუთხული ჰერიში, თავისუფალი აეროპლანით. ამ აზრით ის ძალიან მაღლა იფრინდა, მოტორი გააჩერა და ფრთებ-შეკუმშულ შევარდენივით თავეკე საშინელი სისწრაფით დედამიწის კუნ წამოვიდა. როცა სიჩქარემ უმაღლეს ზომის მიაღწია, პეტე, რომელიც წინდაწინვე მანქანაზე მოქრული იყო, საჭის საშუალებით მსწრაფლ მაღლა იფრინდა, „ყრუ ნასკეი“ გამოხატა, შემდეგ ერთ დონეზე დააყენა და ჩვეულებრივი მიმართულება მისცა მანქანას.

პეტეს შემდეგ ყრუ ნასკები ბევრმა სხვა მფრინავებ-მაც გააკეთეს და თანდათან უფრო საშიში და თავ-სამტკრევი ფრენის მავალითები აჩვენდა ხალხს. ფრენის სიმკურიცხლით გამშეღაობით რუსეთში სახელი მოიპოვა გამოჩენილმა მფრინავმა გაბერ-ვლინსკიმ, რომელმაც ჯერ მოსკოვში და ამას წინად პეტერბურგში მრავალი ყრუ ნასკეი შეისრულა. მისი ფრენის შესახებ პეტერბურგის განხეთებში მრავალი ოლტაცებული წერილი დაბეჭდილი და მაყურებლებიც გაბედული ფრენის სილამაზემ გიორგია. გაბერ-ვლინსკი, ვარდა ყრუ ნასკებისა, რომლებიც ზედი-ზედ რამდენჯერმე გაიმეორა, უჩვენებდა აგრეთვე „კულშე დაცემას,“ „ფრთით სრიალს“ და სხვ.

„კულშე დაცემა,“ ესე იგი —ისეთი მდგომარეობა, როდესაც მანქანა საჭის არ ემორჩილებოდა და მოტორს ოდნავი მუშობისა ან სრულიად გაჩერების დროს უკინ ვარდებოდა, უიმედოდ ითვლებოდა და აუცილებელ ხიფათს მოაწევებდა: მისი გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო.

იხლა კი მფრინავები უკელა ამას ასრულებენ თავისი ნებით და სურვილით: თავისუფალ და ადვილად ნაეარდობენ ჰერიში, როგორც ურინველნი.



ପରିଚୟ ମହିଳା.



ମ ଶବ୍ଦଗୀତିକ ନିଃଶ୍ଵର ମଜୁତବ୍ୟାକିଲେ ଖଣ୍ଡା ପାଠି-
ମୂର୍ଖଙ୍କୁ କାରିତ୍ୟାଳି ତ୍ୟାଗକୁଳ, ଶାମ୍ଭୁଦାମି
କାରିତ୍ୟାଳି ଦାସି, ମିଳି ଦ୍ଵାରିବ୍ୟାଦ ଲାଭ ଅନ୍ତର୍ଭବିତ
ହିନ୍ଦା.

ଜୀବି ମେଲି ମି ମାଲାନାନ ଏତାମିନତା ଲାପକ୍ଷେ
ଶ୍ରୀମତୀଙ୍କିଲ, ରାମମେଲତା ଶବ୍ଦଗୀତି ଶ୍ରୀଯୋଗମିନ୍ଦେଶ୍ଵରାଳୀଙ୍କ ରାମମେଲତିମ୍ଭେ
ଶବ୍ଦଗୀତି ଶବ୍ଦଗୀତି ଶ୍ରୀମନ୍ଦୀ—ଶ୍ରୀନାଥାବନ୍ଦୀ—ଶ୍ରୀମନ୍ଦୀଶ୍ଵରଙ୍କୁ ଦାଶିବାରି.

ଶ୍ରୀପୁରୁଷାମ୍ବରୀ ଶବ୍ଦଗୀତି ନାଥବାରି ଲାଭ ଗନ୍ଧାରିଶ୍ଵରଙ୍କୁ ଦାଶିବାରି

სამოცე წლები ქართველებისთვის შემოქმედების ხანაა. ამ დროს არსდება თითქმის ყველა ჩვენი დღეს უკვე თვალსაჩინო, კულტურული დაწესებულებანი. ამ დროს გამოციან ცხოვრების საჩილებები ხმოლების—ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გომარგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, ვანო მაჩაბელი, დავით ერისთავი, სერგეი მესხი და სხვ.

მათ დროს ფეხს იდგამს სხვათა შორის ჩვენი ლიტერატურა, უურნალ-გაზეთობა და ქართული თეატრიც.

კოტე მესხიც, როგორც ნიკიერი ახალგაზდა და მოწინავე ოჯახში იღზდილი, ზემოხსენებულ მოღვაწეთა წრეში ტრიალებს; მასაც ირაცებს საზოგადოებრივი მუშაობა, და ამ თავის საასპარეზოდ იგი თეატრსა რჩეობს.

კოტე ჯერ ქუთაისში მუშაობს სცენის მოყვარეებრივ ერთად, შემდეგ-კი თბილისში გაღმოდის ჩვენ მთავარ სცენაზე.

შეგრამ მას არ აქმაყოილებს მაშინდელი მუშაობა და თავის გასაწვრთნელად ეცრობაში. მიემგზავრება.

კოტე ორჯერ იყო საზღვარ-გარედ, განსაკუთრებით პარმში; გერუნო გამოჩენილ მსახიობთ, მაშინდელ თეატრის ტეხნიკის, მსახიობას, რეპერტუარს და ასე ცოდნა-გიმლიდრებული დაბრუნდა თავის სამშობლოში.

მას აქეთია იგი დაუღალევად შრომობდა მისი საყვარელი სცენისათვის. შრომობდა როგორც მსახიობი, როგორც რეჟისორი, როგორც მთარგმნელი და ავტორი დრამატიულ ნაწარმოებთა, და თან როგორც ანტრეპრენიორი, მოწყვიბი წარმოდგენებისა და თავ-მომყრელი მსახიობთა.

კოტე, როგორც მსახიობი, განსხვავებული მოელენაა ჩვენი სცენისათვის.

იმან პირველად გვიჩვენა ჩვენ სცენაზე ეცრობიული უნარი მსახიობისა. მისი თაშიში ყოველთვის წინდაწინ მოფიქრებული, გამოხმილი, აწონ-დაწონილი იყო. მდიდარი იყო

მისი სასცენო ტექნიკა—შიხვრა-მოხვრა, საქციელი, ნაკუთხი-გარემოა რება. ამიტომაც ლირსეულიდ ასრულებდა ტრაგიულსა და კომიკურ როლებს.

დაუვიწყარის მისგან შექმნილი ნაპოლეონი, პეტრუსიონ (შექსპირის „პირვეული ცოლის მორჯულებაში“), დონ-სე-ზარ დე-ბაზან („ისპანიელ აზნაურში“), და აგრეთვე იმერელ თავადთა და აზნაურთა ტიპები.

დიდი ლფაზილი მიუძღვეს მას, როგორც მსახიობს, საზოგადოდ ქართულ სკუპნაზე; მაგრამ კიდევ უფრო დიდი ამავი აქვს დადგებული მას ქუთაისში.

კოტე შესხი დამარსებელია ქუთაისის მულტივი დასისა. მართალია, მანამდე იმართებოდა ქუთაისს წარმოდგენები, მაგრამ მხოლოდ კოტემ შეიძლო თავი მოყვარა მსახიობთათვის და მთელის სეზონისთვის ემართნა გამუდმებული, შეყობრი წარმოდგენები.

მხოლოდ კოტე არ კიაყოფილდებოდა მარტი სასცენო მოღვაწეობით და გარდა იმისა, რომ სწერდა და თარგმნიდა პიესებს, ისედაც ლებულობდა მონაწილეობას ჩვენ ეურნალგაზეთობაში. ერთჯელ თვითონაც გამოსცა „პატარა გაზეთი“. საზოგადოდ მისი კალამი იყო სხირტი, მკერრული და ფხიანი.

თვით ცხოვრებაშიაც მახვილი გონებისა და მოსწრებული სიტყვის პატრონი იყო. მისი სიტყვაც მუდამ მოკლე, მაგრამ მრავლის მეტყველი იყო.

განვითარებული, გონება-გაბანილი, ნიჭიერი—იგი ყოველ საზოგადო შეკრებილებაში სასურველი და სანატრელი პიროვნება იყო.

და ისეთ მოღვაწეს ამ თანი წლის წინად, 1904 წელს, მაღლიერმა სამშობლომ დიდის ზეიმით გადაუხადა 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

იგი ჯერ ან წლის თუ იყო. ჯერ კიდევ მხნედ გამოიყერებოდა; არც თუ მას საყვარელ მუშაობაზე აულია ხელი.

უკანასკნელ ხანებში რუსის პოეტ კ. რ.-ს საგულისხმო პიესას — „მეუფე ურიათა“-ს — სთარგმნიდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ შესწყვიტდ მისი სიცოცხლე დ 15 მისის, 1914 წ. სამუდამოდ გამოისალმა ამ სოფელს.

ერთი-ლა ნუგეშია:

კოტე მესხისთანა ადამიანების ხსოვნა არა კვდება შთამომავლობის მეხსიერებაში: ასეთი პიროვნებანი წასაბად მიგოლითად ხდებიან, და იმგვარად წინ მიღის სხვათა შორის ის საქმეები, რომელიც იგრე გულ-მზურვალებ უყვარდა განსევნებულს: საშობლო ლიტერატურა და თეატრი.

მ. დ—ნ.





გასართობი

თვეების სიებურა.

(ხალხური).

¶ ანგარი მობრძანდება
ახალწელიწად დღესაო;
მასპინძელს კარგად იამა,
სტუმარსაც მოულხენსაო.

ძველ ანგარიშებს აბარებს
იმ ქრისტეშობის თვესაო;
ახალ ანგარიშს მოჰყვება,
დღესასწაულებს წევსაო.

ქორონიქონს განუტხადებს
მწიგნობარსა და ლედელსაო;
ლირსებით მიეგებება
იმ ნათლისლება დღესაო.

ეპისკოპოსებს შემოსავს,
ყოველგნით წყალს აკურთხებსაო;
მოვა და საღილს მიირთმევს,
ნათლულებს მოულხენსაო.

ცოტი ღვინოში რომ შევა,
პასუხებს დაიწყებსაო.
ამა რომ თებერვალს ვკითხო,
ჩემთან დაიბანს ხელსაო.

* *

ზას თებერვალი შეიტყობს:
ფინთად დაუშვებს წვერსაო;
უყურე ბინძურს იანვარს,
მყრალსა და საძიგველსაო.

რაც რომ ცუდი ზამთარია,
სულ იგი მოგვივლენსაო;
კაცი არაფერს აკეთებს,
სმინა და კიმის შეტყისაო.

თუმც მასზე შეტი არა ვარ,
ნაკლები არ ვარ შეცაო;
კუველ ნაყოფს გავალვიძებ,
წყალს ჩაუყენებ ხელსაო.

მუშა კაცს გულს გაუხარებ,
რომ მოუმატებ დღესაო.
წირვა-ლოცვის შეუყენებ
მწიგნობარსა და ღვდელსაო..

ღვთის ვედრებას შევაყვარებ
ახალგაზდას და ბერსაო.
შე მარტს ნურავინ მაღარებს,
იმ ბრიყვს და ჭიუა-თხელსაო.




* * *

ଏହାର ରମେ ମାରକୁ ଶୈଳିତ୍ୟପଦ୍ମ,
ଲାନୀତ ଗମନିକୁରିବ ପ୍ରେସ;
ଓର ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ, ଅନ୍ଧରପାଳି,
ଶେବ ଓର କ୍ଷାରରେବ କ୍ଷେତ୍ରରେଲୁବା?

ଶେବ କ୍ଷେତ୍ରରେ ମେତ୍ରୀ ରାଜି ବାର୍ତ୍ତା
ବ୍ୟାପରେବ ପ୍ରେସରେଲୁବା.

ପ୍ରାଚୀ ଗୁରୁ-ପ୍ରାଚୀ କାପି ଫାର—
ମାଲ୍-ମାଲ୍ ଗମନିକୁରିପ୍ରେସ...
ଗ. ଅନ୍ଧରେଲୁବା.



ଅ-4 ନେ-୩୦ ମନ୍ତରାଳସଂଖ୍ୟା ଶାଖାଧିକାରୀ ଏବଂ କମାରୁକୁ ଆଲ୍ଲା.

ମେଲା ମାନ୍ଦ୍ରା ପାଦା, ତାଙ୍କର ମନୀମିନାରୀ କିନ୍ତମାରି
ଇନ୍ଦ୍ରପାତା.



ଶ୍ରୀରାମକୃତି ନାମର ନାଗପୁଣ୍ଡି.
ଗମନିକୁରି ପ୍ରେସରେଲୁବା.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

დ ०

მოწვევული
გვიაზვანები

წერა-კითხვის სახოგადოების წიგნის მადანიაში იქნება
შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თაფვადასადალი, — თხ. მარკ ტევნისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. 50 კ.
- 2) ჩას გვიაზვანების ოთახი, — თხ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) დასურათებული ახაწყობი ანბანი, — ფასი. 1 ბ. 20 კ.
- 4) სკრუჟი და მარლენი, — საშობო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმნი ნინო ნაევშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები ჰ. ე. ან-დერსენისა, ერ. სერ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიურმე, — მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაევშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების ხარე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ქხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი, ორი მოთხრობა ისკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი 5 კ.
- 11) დათო, — ირ. კვდოშვილისა, დილების შამაქებელი, თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლეფის და სხვა უცხო მწერლებისა 5 კ.
- 13) იგავ-არაენი, — 125 დასურათებული, პატარი მოთხრობა, ივტორის სურათის, ალ. მირიანშვილისა, ფასი. 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ-თა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა . . 1 ბ. 25 კ.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო უფრნალ

„ნაკადული“ - სე

• ზოლითა დი მიათხ •

ცულნალი გმირე ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ
არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეციათ:

24 წიგნი „ნაკადულის“ **12** წიგნი „ნაკადულის“
მცირე წლოვანთათვის. მოხრილობითათვის.

36 სურბოს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გმირების წლიურ ხელის მო-
მწერლებს მიეცია წიგნი „მიწის ძრა და ცეცხლის მოტკე-
ველი მოები“ (მრავალი სკრიტებით) გიორგი ათელიძისა.

ფასი ცურნალის: წლიურად ორივე გმირები — 5 პ. ნა-
ხევარ წლით — 3 მან., ცალკ-ცალკ მცირე წლოვანთათვის
24 წიგნი — 3 მან., მოხრილობითათვის 12 წიგნი — 3 მან.
ფურის შემოტანა შეიძლება ნაწილი-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით 7 პ. ნახევარი წლით 4 პ.

ვსოდოვთ ხელის მომწერლებს თუ ცურნალი „ნაკადული“
არ მისდით ერთი თეთის გამიზელობაში გვაცნობონ და აღრი-
სის გმირების დროშე შევატყობინონ.

ხელის მოცარა შეიძლება

ტულისში — „ნაკადულის“ რედაქტორი, უფასალაშე-
ლის სახლი, ვოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накаду-
ли“, Головинскій пр. № 8, შემოსახულელი დაეთის ქუ-
ჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამივრცელებელ საზოგა-დო-
ების წიგნის მაღაზიაში, სისახლის ქუჩა. ქუთახსში — ისიდორე
კეიცარინებულისთან, მ. ყაუხნიშვილისთან და თ. მოაქრიშეილისთან.
სამუშაოდაში — ვლ. ნაცვალიძესთან. — ვოთში — თეოფილ კანცელია-
კინ დელიაკინ. ბათომში — კნ. სოფიო ნავაშიძესთან, ტრაფიმ

ინისარინიძესთან ტესტაში, და ახალგაზისი ლომინაძესთან. ოშენ-
გვეთში ტ ლანჩხუთში — ლეო იძხადესთან. თელავში — ვასო
პატარაშეილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარაშედესთან.
ბაქოში — ვასილ ახელედიანთან, ნინო გელაშეილთან და ივა-
ნე ელიაშეილთან. გორში — ნინო. ლომიოურთან და ქეთევან
ჯავახიშეილთან. ხოსუმში — კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. ჭიათუ-
რაში — ივანე გომილაურთან. განჯიაში — ბ. აშოქეძესთან. ერ-
ვანში — კ. აღაშვილისთან. ხილნალში — ნ. ახმეტელაშეილთან.
გარებში — ივ. სამთაშეილთან. ალექსანდროპოლში — ს. შატ-
რერაშეილთან. ნახიჩევანში — სამსონ მარჯანიშვილთან. ხონში
— მ. ი. კვეკინიძესთან. რაჭაში. — მასწავლებელ. ილია გოგიასთან

რედაქტორი ნინო ნაკადული.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.